რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე, თ. მუხრანსკის სახლებ-
ის ქვემოთ

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუ-
თაისში ჭილაძის (ტერტერაშვილის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე
ხელის-მომწერთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редак-
цію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:
მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.


# დროება


გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., ... ასოზე ნახევარი კაპ., ...
ზე შაური.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს
და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. და-
უბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს
ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულ, რუსულ და სხვ
ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მა-
ღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.



## „დროება“

პირველის აპრილიდამ წლის და-
მლევამდის ღირს შვიდი მანეთი
ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба“.



სათავადაზნაურო თეატრში
დღეს, 7 აპრილს
ქართული წარმოდგენების ხელახლავ
დაწყებისათვის ქართული დრამატიუ-
ლი დასის არტისტებისაგან წარმოდ-
გენილი იქნება:

I
მეორე მოქმედება კომედიიდამ
მზის დაბნელება
თხზ. ანტონოვისა.

II
მესამე მოქმედება დრამიდამ
სამშობლო
მეტეხის ციხე
თ. დ. ერისთვისა.

III
ლეკური
ითამაშებენ ქ. ანდრონიკოვისა და
ბ. მოხევე.

IV
მესამე მოქმედება კომედიიდამ
ხათაბალა
გ. სუნდუკიანცისა.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.
დასაწყისი 8 საათზე.


## ტელეგრამმა

(„სამხრეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 5 აპრილს. ტარიფის ახალი პროექტი სახელმწიფო რჩევამ შეუცვლელად დაამტკიცა.

ებრაელების კომისიის პროექტი არ დაამტკიცა ფინანსთ მინისტრმა; ეს პროექტი მინისტრთა კომიტეტს თავმჯდომარეს გარდაეცა განსახილველად; ამ პროექტში სხვათა შორის, იყო მოხსენებული, რომ ებრაელებს, თუ არ სოფლის საზოგადოების თანხმობით, ცხოვრების ნება არა აქვსო; არც მიწების იჯარით აღება შეუძლიან და არც სამიკიტნოს გახსნა.

კახანოვის კამისიამ გარდასწყვიტა, სანამ მთელს წესდებას შეამუშავებდეს, ადმინისტრაციულ ცვლილებების შესახებ, მანამ შემოღებულ იქმნეს შემდეგი წესდება: სოფლის მოხელეები და პოლიციის წვრილი მოხელეები საზოგადოებისაგან იქმნებიან ამორჩეულნი; რამდენიმე ამისთანა მრევლი (საზოგადოება) მეორე ხარისხის უჩასტკას შეადგენს, რომელიც ამოირჩევს უჩასტკის მოსამართლეს. პოლიციას და საერო გამგეობის წევრთ.

## სახალხო დროს-გატარება

ტფილისი, 6 აპრილს.

ყოველ ხალხს თავის დროს-გასატარებელი ვარჯიშობა და სათამაშოები აქვს. ადამიანი ისეა გაჩენილი, რომ მარტო პურით, მარტო სხეულის საზრდოთი არ კმაყოფილდება: თვალთათვის სახილველი რამ ეჭირება, გონების გასართობი, გასამხიარულებელი. ერთს თეატრი უყვარს, მეორეს მუზიკა, მესამეს ხარების ბრძოლა, მეოთხეს მამლების ჩხუბი, მეხუთეს ჯირითი, ბურთაობა, ზოგს ჭიდაობა, კრივი და სხვ. და სხვ. ყველას თავის ხასიათის შესაფერი სანახავი და დროს-გატარება.

თვით უგანათლებულეს ხალხებში ვხედავთ ჩვენ ამ გვარ სხვა და სხვა სათამაშოებსა და დროს-გატარებას. ინგლისელს მამლების ჩხუბი კი ანახვე და თუნდაც ერთს კვირას არასა სჭამს; ესპანიელს ხარების ბრძოლის ცქერა „ურჩევნია სულსა, ხორცსა“; ფრანცუზს ბურთაობა, ბილიარდი უყვარს; ნემეცს კეგლი და სხვ.

თუმცა ზოგიერთი ამ თამაშობათაგანი და დროს-გატარება (მაგალითად ესპანიელების ხარების ბრძოლა) სხვისთვის ცუდი, შესაზარი რამ სანახავია და ბარბაროსული დროს-გატარება, მაგრამ ეს თამაშა იმდენად გამჯდარია ხალხის ხასიათსა და ჩვეულებაში, რომ მთავრობა ვერ ახერხებს იმის აღკრძალვას, მოსპობას.

ჩვენც, საქართველოს ხალხსაც გვაქვს ჩვენი თამაშობა, ვარჯიშობა და დროს-გატარება. ჩვენ გვიყვარს ბურთაობა, ჯირითი, ჭიდაობა; ტფილისის ხალხს ძველადგანვე კრივი უყვარს. არც ერთს ამ ჩვეულებაში მავნებელი და საზარალო არა არის-რა; პირ-იქით ბურთაობა, ჯირითი, ჭიდაობა ისეთი დროს-გატარებაა, რომელიც ხალხის სხეულს ავარჯიშებს, ძვალსა და ხორცს უმაგრებს კაცს, მხნეობას აჩვევს, მკლავს უმხნევებს და სხვ. მარტო ერთი კრივია ისეთი რამ, რომელსაც ხანდისხან (როცა ქვას აურევენ) შეუძლია ერთის ან ორის კაცის დამარცხება და ამიტომ შეიძლება ეს ერთის მხრით მავნებლად ჩაითვალოს, თუმცა ისეთ მავნებელად არა, როგორც მაგალითად ესპანიის გლადიატორებისა და გაგიჟებულ ხარების ბრძოლა. ათასში ერთხელ არ მომხდარა, რომ ჯირითში ვინმე დამარცხებულიყოს; ბურთაობაში და ჭიდაობაში ხო შეუძლებელია კაცის მარცხი და ჩხუბი.

ამიტომაც ჩვენ გვაკვირვებს, რომ ჩვენი პოლიცია ასე გულ-მოდგინეთ უშლის ხალხს ამ გვარ თამაშსა და დროს-გატარებას.

განვლილ კვირა-ცხოვლობას თითქმის მთელი ტფილისი არსენალის ახლო-მახლო ადგილებს მოეფინა და ჩვეულებრივად დროს-გატარებას ემზადებოდა. ჭიდაობა გამართეს. ჯერ ყაზახ-რუსებმა და პოლიციის სალდათებმა ნება არ მისცეს:—ბრძანება არ არისო! მერე მოვიდა პრისტავი და გამოაცხადა, რომ ჭიდაობის ნება გაქვთო, მხოლოთ კრივი არ შეიძლებაო. გახარებულმა ხალხმა „ურა“ დასძახა, იმ წამსვე გამართეს წრე, თვით პოლიციაც დაეხმარა წრის გამართვაში და ორი პატარა ბიჭი დასჭიდეს ერთმანეთს; მაგრამ, ჯერ ამ ბიჭებს თითქმის ერთმანეთისათვის ხელი არ ჩაევლოთ, საიდამაც იყო გაჩნდა მეორე პრისტავი რამდენიმე ცხენოსანის ყაზახ-რუსით და ხიშტიანი სალდათებით და მათრახითა და საშინელის, უშვერის ლანძღვა-გინებით, გადათელეს, გარეკეს ხალხი. „თქვე ასეთებო, თქვე ისეთებო! ვერ გაიგეთ, რომ არ შეიძლება ჭიდაობა და არც სხვა რამ დროს-გატარებაო! წადით, გაიფანტენით, თქვე...“ და სხვ. და სხვ. და მირეკა ხალხი იმ ადგილას, არსენალის წინ, საცა პივოთი და არაყით სავსე ბოჩკები იდგა და გაჩაღებული ლოთობა იყო!

ჩვენ არ გვგონია, რომ ეს იყოს უმაღლესის ადმინისტრაციის განკარგულება. არ გვგონია იმიტომ, რომ ბურთაობა და ჭიდილი ამ გვარ დღესასწაულის დროს არაფრისთვის მავნებელი არ არის; იმიტომ რომ ეს ბურთაობა და ჭიდილი მუდამ, ძველადგანვე ჩვეულებად ჰქონია ქართველ ხალხს და ამ ჩვეულებას, თუ არ სარგებლობა, არაფრისთვის არაფერი ვნება და ზარალი არ მოუტანია; არა

## „დროების“ ფელეტონი, 7 აპრილი.

### „ბზიკი“

სადილს შემდეგ საკითხავი გაზეთი. გამოდის ყოველ დღე: ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს, შაბათს და კვირის გარდა.

### წინა სტატია

უჰ, ძლივს არ მოვსულიყვრდით! ეს ერთი კვირაა, რაც გახსნილდა და ჯერ კიდევ ფერზედ ვერ მოვსულვართ! სწორეთ დატყვევებულ ციკნებსა ჰგვანან ამოდენა ხალხი წარსული შვიდი კვირის ლოცვისა და მარხვის გამო. (ისემც აუშენდება ოჯახი თავშავაძეს).

ეხლა გვაქვს დრო ლხინისა, ქეიფისა და ლოთობისა. (მართალია, დიდ მარხვაშიაც ვიახლებოდით ღვინოს, მაგრამ ცოტას—ჯერზე ნახევარ თუნგს...)

დიდ-მარხვაში განვიწმინდეთ და განვსპეტაკდით. მხოლოდ ერთ-ორმა საწყალ ხალხს ვექსილზედ „ატკაზი“ უყო, მაგრამ ეს არაფერია, ისე „აშიპკაში“ მოვიდა!... ვა, ამაზედ ძალიან გინახავს ცოდვების მონანება, მთელ დიდ-მარხვაში ორი სახლის მეტს ცეცხლი ვერ წაუკიდეს!! ერთი კი დიდი უსამართლობა მოხდა: საწყალ აკოფას სარაიაში „ნეჩაინათ“ ნავთი დაღვრილიყო; თურმე სპიჩკა გაჰკრა, რომ ნავთი „ეკრიფა“, ამ დროს „ლოროდოვოიმ“ ხელი სტაცა და დღესაც ციხეში ზის!... ეს კი სწორედ უსამართლობაა, იქნება არც კი ეკიდებოდა იმ ოხერ ნავთს! თურმე ნავთლუხის ზავოდის ნავთი იყო.

ეხლა ყველანი ბოროჩი ბავშვებივით უმანკო და უზადო ვართ. დროს გატარებაც ეხლა უნდა; ცოტა ტუტუცობაც, შეიძლება, კაცმა ჩაიდინოს, არა უშავს-რა, მერმის კიდევ მოვა დიდ-მარხვა. ეს მშვენიერი დღეები, მაისი მომავალი, დღესასწაულები, თეატრები, ბალები, მე...ილები, ხანსუსები, რაზბონიკობა, მაშენიკობა, ჯიბგირობა, კაცის-კვლა... უკაცრაოდ, ცოტა ამერია; ერთი სიტყვით კარგ დროს გავატარებთ!

მარხვის შემდეგ პირველ კვირას, მართალია, თეატრები არ იყო, მაგრამ ორი მოსაზრებული ბალი იყო.

პირველი—„საყმაწვილო საღამო“, რომელზედაც კარგა ბლომად ყმაწვილები დაესწრენ, რომელთაც თავის პატარა მოქმედებით ანუგეშეს და კარგი მომავლის იმედი განუღვიძეს თვის მშობელთა და გარეშე მაყურებელთა: ზოგი საკრავზედ უკრავდა, ზოგი ლექსებს კითხულობდა, ზოგნი მღეროდნენ და ზოგნიც ცეკვავდნენ. საღამომ ჩინებულათ ჩაიარა.

მეორეც ამისთანა მოხდენილი (მნიშვნელობას მოგახსენებთ) ბალი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ იყო. ჩვენ ქართველობას, ეტყობა, ევრძნო მნიშვნელობა ამ ბალისა და საქმეს მოჰკიდებოდა ჩვეულებრივის თანაგრძნობით: „კრუჟოკის“ ზალა ძალზე გატენილი იყო, ესე იგი რომ არ ჩავთვალოთ ერთი ბედ-შავი კაცი, რომელსაც რაღაც უცნაურის სიგდების გამო ერთი ოთახის კუთხეში მისძინებოდა და ხუთი კაცი—საზანდარი,—მთელს ზალაში თხუთმეტი კაცი იყო: იმათგან ექვსი „კომიტეტის წევრები“, ორი ჩვენი საწყალი აქტიორი თა-

გვგონია კიდევ იმიტომ, რომ, თუ უმაღლეს ადმინისტრაციას აღეკრძალა, ყველას ეცოდინებოდა, მთელს პოლიციის შეტყობილი ექნებოდა, და აქ კი ერთი პრისტავი ნებას აძლევს და მეორე-კი ლანძღვა-გინებითა და მათრახით ჰფანტავს ხალხს; არა გვგონია კიდევ იმიტომ რომ, ამ მოქმედებას პრისტავისას, რომელიც არაყისა და პივოსაკენ ირეკდა ხალხს, ისეთი ხასიათი ჰქონდა, თითქო მთავრობას ის ურჩევნიაო, რომ ხალხი არაყითა და პივოთ დაითროს, ილოთოს იმან და სხვა ნაირად კი არ იმხიარულოს, არ შეიქციოს თავიო. და ამას ჩვენ, რასაკვირველია, ვერ წარმოვიდგენთ.

ამის გამო ჩვენ ვაცხადებთ კანონიერ საზოგადო სურვილს: უმაღლესმა პოლიციურ მთავრობამ გამოუცხადოს წვრიმალ პოლიციის მოხელეებს, რომ არ აღუკრძალოს ხალხს ისეთი მშვიდობიანი და უვნებელი დროს-გატარება, როგორც მაგალითად ჭიდილი, ბურთაობა, ჯირითი, ზურნის დაკვრა, ყეენობა და სხვა ამ გვარები და ამას გარდა ჩააგონოს ამ პოლიციის მოხელეებს, რომ უფრო ზრდილობიანად, უფრო კაცურად და თავაზიანად მოექცნენ ხალხს ვინემ ახლა ექცევიან: ლანძღვა-გინება მათრახი—თვითონ უწესოებაა და წესიერების დამცველ უფლებას ამ გვარი საშუალების ხმარება არ შეშვენის.

## დღიური

სამზღვარ გარეთისა და რუსულ გაზეთებში ბევრი ლაპარაკია ამ ჟამად ერთს ამბავზედ, რომელიც პირველად ლონდონის გაზეთს „ტაიმში“ იყო დაბეჭდილი, ვითომც გერმანიამ შვეციასთან პირობა შეჰკრაო, რომ თუ ვინიცობაა რუსეთთან ომი მოგვიხდა და ჩვენს მხარს დაიჭერ, ფინლანდიას ჩამოვართმევ რუსეთს და შენ შეგიერთებო; ღენ. სკობლევი იმიტომ როდი იყო პარიჟშიო და იმიტონ კი არ წარმოუსთქვამს ამას იქ თვის სიტყვებიო, რომ საფრანგეთი მიემხრო რუსეთისაკენ, არამედ უნდოდაო, რომ გერმანია შეეშინებია და ხელახლად რუსეთთან დაეკავშირებინაო. მაგრამ როდესაც შეიტყოვო, რომ გერმანია და შვეცია პირობით შეეკრნენ ერთმანეთს, უკან დაბრუნდაო.

რუსის გაზეთებს არ სჯერათ ეს გერმანიისა და შვეციის დაკავშირების ამბავი; „გოლოსი“, მაგალითად, ამბობს, რომ ეს გაზ. „ტაიმსის“ პარიჟელ კორრესპონდენტის ფონ-ბლოვიცის მოგონილი ამბავია, რომელსაც არავითარი საფუძველი არა აქვსო.

* * *

ამავე გაზეთის სიტყვით, თ. გორჩაკოვის მაგიერად გირსის დანიშნვა რუსეთის უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრად იმის ნიშანიაო, რომ ჩვენს უმაღლესს მთავრობას მშვიდობიანობა ჰსურს, კეთილ-განწყობილება უცხო ქვეყნებთან და ომიანობაზედ არ ჰფიქრობს.

* * *

გუშინწინ, ორშაბათს, გიმნაზიის საყდარში, გარდაიხადეს პანაშვიდი 31 მარტს მოსკოვში მიცვალებულის დედოფლის ანასტასია გრიგორის ასულისა. პანაშვიდზე დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. მიცვალებული დედოფალი ანასტასია იყო უკანასკნელის საქართველოს მეფის გიორგი მეცამეტის შვილის ბატონიშვილის ილიას მეუღლე.

* * *

დუშეთიდამ გვწერენ:

„31 მარტს მოხდა აქ ყრილობა აქაურ საზოგადო კლუბში, სადაც სხვათა შორის მოულოდნელად აღიძრა ლაპარაკი მომხმარებელთა საზოგადოებისა ანუ სავაჭრო სახლის დაფუძნებაზედ, ისეთივე სახლის, როგორიც ამავე წელს დაარსდა ქ. გორში. დამსწრე პირთ თანაგრძნობა და სრული სურვილი მონაწილეობის მიღებისა განაცხადეს; სავაჭრო სახლის თანხის შესადგენად აღუთქვეს ას თუმნამდის, რომლის შეტანისთვის მაშინვე ხელწერილიც დადგეს. თანდა-თან რომ იმატებს და საკმარისად გაბევრდება ამ პირველ შეკრებილი თანხის რაოდენობა, ამაში ეჭვი არ არის. ვინატროთ მხოლოთ, რომ ამ საზოგადო საქმის მმართველათ რიგიანნი, მხნე და გონიერნი პირნი იყვნენ აღმორჩეულნი, რომელთაზედაც, თქმა აღარ უნდა, მთელი ბედი და უბედობა ამ საზოგადო საქმისა იქმნება დამოკიდებული.

„იქმნება ამით ცოტათი მაინც არის აგვეხადოს ცარცვა-ყვლეფის უღელი, რომლის ქვეშ ჩვენს ხალხს კისერი ვეღარ გაუმართავს. იქმნება ახლა მაინც არის ვეღირსოთ „აბზარ—ნეგადიც*) და კომპ.“—ის ცხვარსავით კრეჭვას და ძროხასავით წველვას?!.. ინებოს ღმერთმა!

„როგორ ძვირათ და მამასისხლათ საღდება აქ, ამ ვაჭრების წყალობით, პირველ მოთხოვნილებითი საჭიროების ხორაგი-ამის ნიმუშათ მოგახსენებთ იმ გარემოებას, რომ ამ ჟამად გირვანქა ძროხის ხორცი ფასობს 12 კაპეიკათ ჩვენს ქალაქში, სადაც სოფლელთაგან კი ვყიდლობთ კარგს მსუქანს დედალ ქათამს ექვს შაურათ, კარგს მოვლილს ინდაურს ექვს-შვიდ აბაზათ და სხვ. რათ უნდა იყოს აქ ასე ძვირად ხორცი მაშინ, როდესაც თითქმის მუდამ დღე აუარებელი საქონელი მოდის ჩვენს გზაზედ ჩერქეზიდგან თფილისში გასასაღებლად და როდესაც აქაური ყასბები შედარებით თფილისისა ერთი მერამედით ნაკლებ ფასათ ყიდლობენ საქონელსა?“—

## „დროების“ კორრესპონდენცია.

ზემო-რაჭა, 27 მარტს. ვისაც კი ერთხელ უნახავს ჩვენი ზემო-რაჭა, უეჭველად დამეთანხმება, რომ ამ პატარა კუნჭულს თავის ვიწრო მდებარეობით, ნაირ-ნაირი წყაროებით და მრთელიანის ჰაერით უჭირავს პირველი ადგილი თითქმის მთელს ჩვენს რაჭის მაზრაში. თუმცა ეს ყველა ასე არის; მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ მარტო ესეები ვერ აკმაყოფილებ[...] ჩვენი ღარიბ - ბელხის მოთხოვნილე[...] ბას: ამ სიკეთესთან - რომ წლიური [...] ნახევარი წლის საზრდო მაინც მოგ[...] დიოდეს, მაშინ ჩვენ ბედს ძალლი [...] დაჰყეფდა. ჭეშმარიტად, რომ დავ[...] ვებივარ ხოლმე ამ საცოდავი ხალხ[...] შრომას, მათ დაუწყნარებელ და დაუ[...] ძინებელ მოძრაობას, მითქვამს თუ[...] აფსუს! რამდენი ოფლი რა უსასყიდ[...] ლოდ ილვრება-მეთქი! მთელი ზაფხუ[...] ლი საწყალი აქაური გლეხი დაჰკვნე[...] სის თავის პაწია მწირ მამულს და თ[...] ნაც თავის სანუგეშოდ დაჰღუღუნე[...] ამ პოეტისაგან გამოთქმულ ლექსსა:

„რასაც კაცსა ღმერთი სწყალობს,
„ერთიც არ დაუკვნესია,
„მოსავალი მით მოსვლია,
„თუნდ კლდეზედ დაუთესია,
„ხმალიც გაუჭრის დალაბრა, (ხლ[...])
„თუმცა არ გაულესია“-ო.

მაგრამ ეს ამ ნაირი მისი ღუღუ[...] ამაოთ ჩადის! რაც უნდა ბევრი ულ[...] ღუნოს და ულაღადოს, შეულოც[...] და გამოულოცოს, მაინც კაი უნდ[...] თუ საწყალი გლეხი თავის მიწა-წყალ[...] ხუთი ან ექვსი თვის საზრდოს გ[...] მოსცინცლავს, ჩაიალოთავებს თუ ა[...] საცოდავი ზემო-რაჭველი გუდა-ნაბ[...] აკიდებული მიდის თუ ჩერქეზში, თ[...] ქართლში და თუ თფილიზში, რო[...] ორიოდ ფარას ხელი მოსჭიდოს [...] მით ყოველი წლიური ბაჟი-ბეგ[...] გაისტუმროს.

თუმცა ამ გვარად ატრიალებ[...] ზემო რაჭველები თავის ცხოვრ[...] ჩარხსა, მაგრამ ნეტა თქვენის ღვ[...] წყალობით იქიდამ მაინც მოდიოდ[...] გამარჯვებულნი სადაც ესენი ორიო[...] ფარის საშოვრად მიდიან! ეს შე[...] წელიწადია, რაც სამიოდ ჭირიღ[...] და ორი ლებელი კაცი წავიდნენ ჩე[...] ქეზისკენ აბრეშუმით, სავაჭრო[...] დღემდი მათი ცოლ-შვილი მოუთმ[...] ნელად ელოდნენ იმათ მოსვლ[...] მაგრამ სამწუხაროდ დღეს ამბავი მო[...] გვივიდა, რომ ყველა ესენი ყელ[...]

*) სახელებია მოვაჭრეებისა.

---

ვიანთ სუფთა ჯიბით, ხოლო დანარჩენი—„პუბლიკა“. აი, აი თქვენი თავი... გვიცოცხლოს ღმერთმა!

ახლა „საქართველოს სასტუმროში“ შეიხედეთ, რის გავრცელებას ცდილობს ჩვენი თავად-აზნაურობა!... ეჰ, მახლას!... „ბოგრა არ უახდება შირაზის შუშა, რა გინდ თახჩაშიაც დასდო“—ამბობენ.

მართლა სულ დამავიწყდა, ზემოხსენებული საზოგადოების გარდა „კრუჟოკის რაიოკში“ („ხორებს“ რომ ეძახიან) რამდენიმე დარბაისელმა კინალამ „სალეკმალეკი“ გამართეს! მგონია გამართეს კიდეც, სწორედ არ ვიცი....

„ბზიკის“ კორრესპონდენცია.

სურამი. წყალმა წაგვიღო, თქვენი მტერი! ამისთანა დიდი-წყლობა თავის დღეში არ გვინახავს. ჩვენ ურიებს ნებით არ უნდოდათ მონათვლა და ამ გიჟმა სურამულამ (წყალსა ჰქვიან) ძალათ დანათვლა. შეუვარდა, ბატონო, სახლებში, ჯერ სახლის პატრონები ხომ კარგათ აბანავა, მერე დასტაცა, რაც ქვაბი და ქაფქირი ჰქონდათ და გაუყენა მკალავებისკენ!. სახლი არ არის, რომ ქვეშ ჩუხჩუხით წყალი არ ჩაუდიოდეს. სწორეთ ვენეციაა ამ ჟამად ჩვენი სურამი. მა-რა მოგვივა, თქვენი ჭირიმეთ: ურიები ლამის გავაქრისტიანოთ და ქრისტიანები კი სულ რჯულს გადავიდნენ; ერთი მსაჯული გვყავს, გაგვაწყო, გაგვაწყო, თქვენი ჭირიმეთ!.. ასე რომ ქალების მეტს... სამართალს არავის აძლევს? ეს მსაჯული გახლავთ, შარშან რომ ხაშურში თავადი შვილებმა „სტიხარი უკურთხეს“!.. მაგის კეთილ მოქმედებით გახლდათ ამას წ ნათ, რომ ერთ დარბაისელ კაცს, ს. კ—ს, რაღაც გადაასხეს თავზე!.. რომელი ერთი მოგახსენოთ ამის ნაწარმოები?? თუ ღმერთი გწამთ, დროზედ შეგვეწიეთ როგორმე, თორემ, შენი მტერი, ჩვენც გადაგვასხამს თავზე თავის „ნაწარმოებს“!

## წერილი რედაქტორთან.

ოსტატო!

ამას წინათ თქვენს გაზეთში წავიკითხე ქ. გორის სისუფთავეზე მოხსენება, სხვათა შორის ეწერა: გორის პირველი ქუჩა, მეტადრე მარკოზოვის სასტუმროს წინ ისეთი სუფთა არისო, რომ ერბო აიკრიფებაო! მე ვფიქრობ, კორრესპონდენტი შესცდა, უთუოდ იმას უნდოდა ეთქვა მარკოზოვის თავის სისუფთავეზე და არა ქუჩაზე. პირველში არც მე მაქვს ეჭვი: მარკოზოვის თავი ნამდვილათ ისეთი მოკრიალებულია, რომ ერბო აიკრიფება, მაგრამ ქუჩისა კი რა მოგახსენოთ! თუ გამოჭენებულმა აქლემმა იმ მტვერს გამოატანოს, რომელიც ამ ქუჩაზეა და შიგ ყელამდი [...] არ ჩაიფლას, იუდა ისკარიოტელი [...] ყო!.. რასა ბრძანებთ? გორი და [...] სუფთავე?!. ეგრეთი ცილის-წამებ[...] არ იქნება! ბარემ ურიებს ღო[...] ხორცის ჭამა შესწამეთ! გორში რო[...] სისუფთავეს თხოულობთ, მერე მცხო[...] რებლებს რა პასუხს აძლევთ?! ხ[...] სულ გაუწყდნენ ამოტელა ღორებ[...] რომ ჰყავთ, ე. ი. იმოტელა.....დ[...] ღორები!!

ეს კი არა და, აი მართალი მო[...] გახსენოთ: ამ დღეებში გორის ს[...] გოროს წინ ტალახში ფაიტონის ც[...] ნი დაიხრჩო! ამაზედ დიდი გამოძიე[...] შედგა. „გორის უპრავამ“ კომის[...] დანიშნა ამის გამოსაძიებლად: მარ[...] ლა ცოცხალი ცხენი დაიხრჩო ტ[...] ლახში, თუ კვდარიო! კომისიამ [...] მოაჩინა, რომ განსვენებული ცხ[...] თავლაში გადაცვლილა, შემდეგ [...]

გამოჭრილები უნახავთ ერთ ვეება ხრამში ჩაყრილნი.

ვინ მოსთვლის რამდენი ამისთანა მაგალითები ხდება ჩვენში, რამდენი კიდე თფილისელ კინტოებისაგან დაპრამვებულნი და ატირებულნი მოგვდიან ხოლმე; მაგრამ ვის დავაბრალოთ, თუ არ ჩვენი ხალხის უმეცრებას? დარწმუნებული ვარ, რომ აქაურ ხალხს კიდე მეტათ გაუძნელდებოდა ცხოვრება, თუ რომ დედა-კაცები არა. ყოველივე ოჯახის მოთხოვილებანი, როგორც მაგალითად: კერვა, რეცხა, თოხნა, მკა, ლეწვა, თივის მოგროვება და სხვ. სულ დედა-კაცების კისერზეა. ამიტომ ზემო-რაჭაში გასათხოვარ ქალს პირ იქით აძლევენ ქრთამსო. თუ ქალი მოყვანილია, კარგა ჩასქელებული და მასთან ლონეც ერჩის, მთხოვნელი არ იშურებს მისცეს ქალის მშობლებს 30 ან 20 თუმანი მაინც.

ყველა ეს თავიანთ ცხოვრების სურათი ზემო-რაჭელებს ცხადათ აქვსთ გამოხატული შემდგომ სიმღერაში, რომელსაც ყოველთვის მღერიან ხოლმე აქაური დედა-კაცები, როცა კი ფერხულში ჩაებმიან:

„დამცირდა წუთის-სოფელი,
ცოდვით აივსო ქვეყანა.
ამ საწყალ ზემო-რაჭასა
მითხარ, რით უნდა ეხარა?
დება ონს ზემო მცხოვრებნი
სულ უმამულო შეგვყარა,
რაც უნდ ვიწვალოთ საწყლებმა,
სიკეთე არ დაგვეყარა!
არა გვაქვს ბარათ სახნავი,
არც თუ სათიბი მთაშია,
ყველა ჩვენ გვბრიყობს საწყლებსა,
ყველა ჩვენ გვირტყამს თივშია!
ისე გაივლის ზამთარი,
ორ კაცს ვერ ჰპოებ სახლშია,
ზამთარ მიდიან ჩერქეზში,
გაზაფხულს ზემო-ქართლშია.

ზემო-რაჭველი მღვდელი.

## ქართული ისტორია

(გაგრძელება*)

თუ რომ დასაჯერებელია ქართლის ცხოვრების სიტყვა, პირველი ცნობა ახალის სჯულის დასაწყისზე, ესე იგი ქრისტეს შობაზე ბეთლემში, მოგვთაგან იმისთვის ძღვნის მირთმევაზე, იესოს ქადაგებაზე და იმის ჯვარზე სიკვდილზე შემოტანილია ჩვენ ქვეყანაში ურიებისაგან, რომელნიც აქ ცხოვრობდნენ და რომელთაც შეუწყვეტელი კავშირი ჰქონიათ თავიანთ ძველ მამულთან. ქართლის ცხოვრება იტყვის, ვითომც ქრისტეს ამაღლების შემდეგ საქართველოს მოქცევა წილად—ჰხვდა ღვთის მშობელს და ღვთის მშობელმა ეს მოღვაწეობა მიანდო პირველ-წოდებულს ანდრია მოციქულს, რომელსაც თან გაატანა თავისი ხატი, „აწ წოდებული აწყვერის ღვთის მშობლად“. ანდრიას მოგზაურობა მოხდა ადერკი მეფის დროს. ის მოვიდა ჯერ ტრაპიზონში, „რომელ არს სოფელი მეგრელთა“; აქედამ შემოვიდა ქართლის ქვეყანაში, „რომელსა დიდ აჭარა ეწოდების დაიწყო ქადაგება“; გარდაფლო მთა, „რკინის ჯვარათ სახელდებული; შთავლო ოძრახის ხევი, მოვიდა სამცხის საზღვარზე სოფელს ზადენ-გორას და მოიწია აწყვერს, რომელსა პირველად ეწოდებოდა ხაზანგეთი და პირის-პირ საქრისი“. აქ იმ დროს მთავრობდა დედა-კაცი ვინმე სამძივარი. თუმცა ანდრიამ „მრავალნი ჭირნი და განსაცდელნი დაითმინნა ურწმუნოთაგან“, მაგრამ იმის ქადაგებას მაინც წარმატება შეუდგა. ანდრიამ დაამხო კერპები, მოაქცია სამძივარი შვილით და სახლით და „არწმუნა ყოველთა უფალი იესო ქრისტე“. ანდრიამ „ასწავა წესი სჯულისა და სარწმუნოებისა, დაუდგინა ეპისკოპოზი, მღვდელნი და დიაკონნი, აღუმართნა ჯვარნი, აღუშენა ეკლესიანი, დასტოვა აწყვერში ხატი ღვთის მშობლისა და შემდგომად ამისა არტაჰან კოლით და კლარჯეთით განვლო სომხითი და აღვიდა იერუსალიმს აღსრულებად პასექისა“.

„მეფე ადერკი გაწყრა ქართველთა და მეგრელთაგან სჯულის დატევებისათვის, წარავლინა ერისთავნი და კვალად იძულებით მიაქციენ ქართველნი და მეგრელნი“. ანდრია მეორედ თურმე შემოვიდა ჩვენში. იმას მოჰყვნენ სხვანიცა მოციქულნი მატათა და სვიმონ კანანელი. იმათ გაიარეს „ტაოს კერძი ქვეყანა ვიდრე მდინარედ ჭოროხამდე, მოვლეს ყოველი სოფლები მის კერძისა და დაუცადებულად ქადაგებდეს და ესრეთ ქადაგებითა... შევიდნენ ქვეყანასა აფხაზეთისასა და მივიდნენ სევასტე ქალაქად, რომელსა აწ ეწოდების ცხუმი, და უქადაგეს სიტყვა ღვთისა და მრავალთა შეიწყნარეს და მუნ დაუტევა ნეტარმა ანდრია სვიმონ კანანელი სხვათა თანა მოწაფეთა და თვით ჯიქეთის ქვეყანად აღვიდა. ხოლო კაცნი მის ქვეყანისანი ჯიქნი იყვნენ ფიცხელნი გულით და საქმეთა შინა ბოროტთა განფრდილნი, ურწმუნონი და უძლებნი, რომელთა არა შეიწყნარეს ქადაგება მოციქულისა, არამედ ეწებათ მოკვლა მისი... და იხილა რა მიუდრეკელობა მათი და პირუტყვებრივი გონება, დაუტევა და წარვიდა, ამისთვისაც ვიდრე აქამომდე ურწმუნოებასა შინა არიან. ხოლო სვიმონ კანანელისა საფლავი არს ნიკოფს ქალაქსა, შორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა, რამეთუ მუნ აღესრულა წმინდა სვიმონ კანანელი“. ერთის სიტყვით, ქართლის ცხოვრების თქმით, ანდრიამ „განამტკიცნა მეგრელნი და აფხაზნი“, „მოაქცივნა ქვეყანა სვანეთისა, სადაცა მთავრობდა ღლეთა მათ დედა-კაცი ვინმე მთავარი და მეტათა სხვათა მათ თანა მოწაფეთა დაშთა მათ კერძოთა“. შემდეგ ამისა ანდრია გავიდა „ქვეყანასა ოსეთისასა და მიიწია ქალაქად, რომელსა ეწოდება ფოსტაფორი და ბოსფორი ... და წარვიდა სკვითედ“.

თქმულება ანდრიას ქადაგებაზე საქართველოს დასავლეთად ჩვენში გავრცელებული ამ საგანზე [illegible] რამდენჯერ მის ქართველთ[illegible] ცხოვრება-წმ. პეტრეს მოღვაწეობის აღწერაში (IV საუკ) ნათქვამია: „..ვინადგან ყოფილა. ექადაგა ქადაგება იგი წმინდისა ქრისტეს სახარებისა წმინდისა და დიდებულისა ქრისტეს მოციქულისა ანდრიას მიერ ქვეყანასა მას ქართლისასა, ვითარცა დასწერს ნიკიტა სამღთო ფილოსოფოსი მიმოსვლათა შინა და ქადაგებათა წმინდისა ანდრია მოციქულისათ დი უკანასკნელ მოივლინა წმინდა და ნინო კერძოსა ერთსა ქვეყანასა მისვე ქართლისას ქრისტეს ღვთისა მიერ.. და ნათელ-იღეს ქადაგებითა მით წმინდათა მოციქულთათა. მიერითგან არ-ლარა ოდეს მიდრეკილ არს ქვეყანა იგი ქართლისა წმინდისა და მართლისა სარწმუნოებისაგან„. გარდა ამისა დავით და კონსტანტინეს ცხოვრება გვაონობებს:“ ვითარცა გვისწავლეს ძველთა უწყებათგან, იყვნეს წმინდანი ესე მოწამენი დავით და კონსტანტინე ქართველნი... ემბაზითა განათლებულ ქადაგებულისა ანდრია და სიმონ კანანელისათა, რამეთუ მათ ქადაგეს ქრისტე ქართველთა შორის პირველ ნინოს მოსვლისა.“

ითქმის ის აზრიც კი იყო საქართველოში, ვითომც ანდრია წვალებულა აფხაზეთში და დასაფლავებულა ბიჩვინტაში. „ჩვენ ვუწყით, ამბობს გუჯარი ემავე წლისა, რომ წმინდა ანდრიამ იწამა კაცის-მოჭამელი ქვეყანაში, რომელსაც ეწოდება ანუხაზეთი (აფხაზეთი) და დაიფლა ბიჩვინტას.“ მეთერთმეტე საუკ., როდესაც გიორგი მთა-წმინდელი ანტიოქოში ჩვენის სარწმუნოების მართლმადიდებლობას უმტკიცებდა პატრიარქს, იმან ამ საგანზე ის საბუთი წარუდგინა, რომ „საქართველოს ეკკლესია დაფუძნებულია ანდრია პირველ-წოდებულისაგან და სვიმონი კანანელისაგან და სვიმონი ნიკოფსისვე არისო დამარხულით.

მრავალ გვარი შემთხვევა აჩხნევებდა და ამტკიცებდა ჩვენ საზღვ-

*) იხ. „დროება“ № 68.

---

მოსულა და ტალახში ჩაწოლილა გასაგრილებლად! კომისიამ ეს ნამდვილად დაამტკიცა, რადგანაც ამისთანა ამბები ხშირად ხდება გორშიო. ახირებული რამ არის ჩვენი გორი: ერთსა და იმავე დროს ერთ ალაგს მტვერში იხრჩვები, მეორე ალაგს ტალახში. ღმერთო! შეგვიბრალე ჩვენ ცოდვილნი!

### ტელეგრამმები.

გორი. საშინლად იტკივებს წელს ბორის ხიდი. არა წამალმა არ არგო. ეხლა გვსურს გამოვცადოთ ერთი ქალაქელი ვაჭრის გამოგზავნილი წამალი: ერთი გირვანქა სპირტ-ნარევი ნავთი და სპიჩკა.

საიქიო. ტარტაროზებს სურთ, მირზოეშვილი სადმე გადაასახლონ, რადგან ძალიან ქეიფობს და ბევრ ფულს აფუჭებსო.

გარეთ-უბანი. „ქალაქის დუმა“ ამ ჟამად ქონათ დნება.

### ახალი ამბები.

ამ დღეებში იქნება უსტაბაშების კრება, ამიტომ უმორჩილესად სთხოვენ „ბუსლის“ თანამშრომლებს დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ, როგორც „ტუტუცების უსტაბაშები“.

—

მუშტაიდში რომ ერთი ხეა, რომელზედაც სამმა კაცმა ჩამოიხრჩო თავი, ეხლა ამ ხეს მოჭრას უპირებენ. ვისაც თავის ჩამოხრჩობა სურს, ვუცხადებთ, დაეშურონ, ვიდრე ხეს მოსჭრიან.

—

უმორჩილესად გვთხოვენ, თავის დღეში არ გამოვაცხადოთ, თუ სასულიერო სემინარიაში მოხდეს რამე: ან შეგირდი უსამართლოდ გამორიცხონ, ან ცუდი საჭმელი აჭამონ, ან ტანთ არაფერი ჩააცვან, ან მასწავლებელს სცემონ. ჩვენც მტკიცეთ ვასრულებთ თხოვნას. თუმცა ზემოხსენებული ყველაფერი ხდება სემინარიაში, მაგრამ ჩვენ არ ვაცხადებთ.

### „ბზიკის“ ფოსტა.

რ—ეს. ჩვენ არა გვსურს შპიონებთან კავშირი ვიქონიოთ. ბირჩევთ, თქვენი სტატია მოსკოვში კატკოვს გაუგზავნოთ.

ე—ს. მაგისთანა სისულელე, სიმდაბლე და საძაგლობა რომ ჩვენა ვბეჭდოთ, მაშ „ბუსლი“ უნდა დაიკეტოს! რას ემართლებით?

ბ—ს. სისულელე კიდევ არაფერი, ვინც თქვენს სტატიას წაიკითხავს, სიგიჟეში ჩამოვართმევენ.

### „ბზიკის“ ფელეტონი.

უმადურს.

რას მრისხანებ, მშვენიერო კნეინა?..
ნეტავ თქვენთვის მართალი მათქმევინა!
არ შეგშვენით, რომ ტყუილა სწამებთ ცილსა,
და სხვის ტანჯვა თქვენში ჰბადებს სიცილსა!

—

ვის არ აღძრავს, განგმერს შენი შვენება,
უცნაური ციური მოჩვენება?!

—

დღლვით ჟღერენ, ძრწიან გულის სიმები,
ოდეს, ტურფავ, ნაზათ გაიღიმები.

—

გლახ დავნატრი შენს ახლოსა მფშვინავსა,
სიამით სრულს, უდარდელად მხვრინავსა!

—

ვით იადონს ვარდნი მიეგებიან,
ჭაბუკთ გულნი ფეხ-ქვეშ დაგეგებიან.

—

გადიღრუბლე, შუქ მოფენით იდარე,
ვერვინ დაგძლევს, თვით მზე მნათი იდარე!.

რედაქტორი და გამომცემელი N.

რებში ახალ-დანერგილ ქრისტიანობას. იმ ქრისტიანეთაგანნი, რომელზედაც პირველისავე დროდამ დევნულობა ასტეხეს რომის იმპერატორებმა, ბევრნი იკრიბებოდნენ პონტის მხარეებში, როგორც მივარდნილ ადგილებში. ჩვენ ვიცით, რომ აღმოსავლეთი კიდეები შავის ზღვისა იყო ვიზანტიელებთათვის ექსორია ადგილად, სადაც საშიშნი მაღლად დადგენილნი ქრისტიანენი იგზავნებოდნენ. რომის ეპისკოპოსი კლიმენტი ექსორია იქმნა 100 წელს ხერსონესში და აქედამ მოქმედებდა იბერიელებზე და კოლხიდელებზე, რომელნიც „მრავალს ადგილს ალიარებდნენ სახარების სწავლას". ჩვენ ვიცით, რომ თვით იოანე ოქროპირი მე-IV საუკ. განდევნილ იქმნა ფითიუნს ანუ ბიჭ-ვინტას. ამ გვარ შემთხვევათა გავლენა დიაღ ნაყოფიერი გავლენა იყო. მოციქულების დროდამვე ჩვენის ქვეყნის საზღვრად ჰყვაოდნენ ეპისკოპოსნი, მაგალითად, ანდრიას მოწაფე ფილოლოგი, სინოპის ეპისკოპოსი, უძველესი ტრაპიზონის ეპისკოპოსი ფოტი; იქვე დიოკლიტიანეს მეფობაში მელეტი და სხ.; კოლხიდის ძენი, პონტის ეპისკოპოსნი პალმა და იმისი შვილი მწვალებელი მარკიონი. ზოგნი იმათგანნი იხსენებიან თვით იმათ რიცხვში, რომელთაც მსოფლიო კრებაებში მიუღიათ მონაწილეობა, ესე იგი ნიკეაში და სხვა ქალაქების ყრილობაში: ბიჭვინტის და ნიკოფსიის ეპისკოპოსნი იპატი, სტრატოფილი, ეპაციანი და სხ. ეს ფაქტები საკმაოდ ჰმოწმობენ, რომ ჩვენ საზღვრად ქრისტიანობა ჰყვაოდა მეოთხე საუკუნის წინათვე, რომ თუ არ ყოფილიყო თვით დასაშთენ საქართველოში ადვილად ვერ გაავრცელებდა და ვერ დაამყარებდა ქრისტეს სახარების წმინდა ნინო.

დიმ. ბაქრაძე.

(გაგრძელება)

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს- ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

### ექიმი შტემბორსკი

მიიღებს ვენერიულ და ხორცის კანის ავათმყოფებს მუდამ დღე დილის 9 საათიდამ 11 საათამდინ და საღამოს 4 საათიდამ 11 საათამდინ. ღარიბებს მიიღებს მუქთად.

ადრესი: სოლოლაკი სადოვის ქუჩა, სახლის № 50. (1ს—1)

მომავალ კვირაში გამოვა

## ქუჩუჲ
## ყარამნის შვილის
მოთხრობა,

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ მელიქოვის სტამბაში.

**ისყიდება** ახლად აშენებული, პატრონების წასვლის მიზეზის გამო, პიროსნის კუთხეში და ანდრეევის ქუჩაზედ **სახლი № 13** რვა ოთახით ორის წინა ოთახით, სამზარეულოთი და მოსამსახურის ოთახით და ორის სარდაფით, მიწით ზომით 300 საჟენით.

პირობების შეტყობა შეიძლება ამავე სახლშიდ.

**ისყიდება სახლი** ნიკოლაევის ქუჩაზედ № 96-ს 4 ოთახით თალებიანი ქვემო პოდვალნი სართულით, თავლით და სხვა ყოველ გვარ მოწყობილებით საყინულით, ამ სახლს აქვს პრიკაზის ვალიც.

დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება ანდრეევის ქუჩაზედ, სახლი № 13. (3—1)

სურამის და ხაშურის სტანციებში ისყიდება დიდ-ძალი დამწვარი კირი. ფასის შეტყობა შეიძლება სურამში ალექსანდრე აბაზაძისგან. (15—8)

### იურიდიული კაბინეტი
### იურიდიული ბიბლიოტეკით

დაარსდა გოლოვინის პროსპექტზე არხიტექტორის ბელოევის სახლში კელბერის პირ-და-პირ.

მთხოვნელს მიიღებენ დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდის და 7-დამ საღამოს 10 საათამდი.

ამ კაბინეტის პირობა და ტაქსა გამოცხადებულია და ცალკე დარიგდება. (30—11)

### ინგლისის მაღაზიაში
არწრუნის გალლერეაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| ხაუჯეთუხო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—97)

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნის სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებისგამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

### მამულის
### საერთო მფლობელობაზე
თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

### თამარ დედოფალი
შედგენილი

პ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

**ლონდონის მაღაზია** კომერციულ-ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, [illegible] დანებისა, [illegible] კოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპ... სა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, დალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, ... გრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლე... ვინი ზეთისა) და სხვ. საავანტო... კინტოში მოსახურავებს გასასყიდ... კანფეტების და ბატკერის და კამ... რაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინ... ბისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ... სიგარები. (100—98)

**ტიტულიარნის სოვეტნიკი ეფ... ფადეიჩი კობიევი** აუწყებს სა... ველთაო საცნობლად, რომ თანახ... ახალი წესისა დაწესებულ უმაღლ... მთავრობისა, დიდი ხანია რაც მი... ტფილისის ოკრუჟნის სუდიდამ მო... მობა პოვერნიობისა, რომელი... ნება მაქვს საქმეების წარმოებ... დებში.

ამისათვის მსურველთ შეუძლია... მომანდონ როგორც სხვა-და-სხვა ს... მეები საწარმოებლად, აგრეთვე ღ... ბისა, რომლებიც აღმოჩნდნენ გ... ჯვნის დროს მამულებისა. ამისთან... ვილებ უგოლოვნის (სისხლის სამართ... ლის) საქმეებსაც, როგორც ვექ... და გამოცდილი ჩინოვნიკი მყო... სეკრეტრის თანამდებობაში ტფილ... სის ოკრუჟნის სუდში.

ბინა მექნება ქ. დუშეთში ... არაქელოვის სახლში.

პოვერნია ტიტულიარნი სოვეტ... (3—3) ეფრემ კობიევ...

### ტაქსია
ავზებაზ ხორაგეულებათა, რომელ... იყიდებიან თფილისის ბაზრებში, ... ნებში და დარტარებით 1 აპრილ... 1 მაისამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილ...

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 |
| მეორის „ | —1 გირ. | 3 |
| მესამის „ | —1 გირ. | |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვ...

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 7 |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4 |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 11 |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 |
| სუკი — — | —1 გირ. | 16 |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 13 |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | — |

ახლად ჩამოსული

## ბებია-ქალი

აქვს იმპერატორის მოსკოვის უნივერსიტეტის დიპლომი, რომელიც ... წელიწადი მუშაობდა ქ. სარატოვში და რომელსაც აქვს ამ ქალაქის საზ... მო გამგეობისაგან რამოდენიმე მოწმობები თავის ხელობისა,—მიიღ... ავად-მყოფ და ორსულ ქალებს თავის სადგომზე, სადაც აქვს ამათთვის დ... ზადებული ოთახები.

ადრესი: ელისავეტინის ქუჩა, სახლი 60.

(24—6) ბებია-ქალი დობროდეევა—კაჟინსკისა.


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Апрѣля 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მ...